

პროექტის ძირითადი მონაცემები

მერების შეთანხმება არის ევროკავშირის ფართომასშტაბიანი ინიციატივა, რომელიც აერთიანებს მწვანე ეკონომიკური განვითარებისა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების ერთობლივი ნებაყოფლობითი პასუხისმგებლობის მქონე ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფლების ორგანოებს. მერების შეთანხმების ხელმოწერნი ვალდებულია იღებენ ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერჯის წყაროების გამოყენების საშუალებით 2020 წლისთვის 20%-ით მაინც შეამცირონ CO₂-ის ემისია.

მერების შეთანხმების აღმოსავლეთით გაფართოება

„მერების შეთანხმებაში აღმოსავლეთთან პარტნიორობის ქვეყნების დედაქალაქებისა და ცენტრალური აზიის ქალაქების მონაწილეობის ხელშეწყობა“

ძირითადი ფაქტები

ზოგადი მიზნები:	პროექტის მიზანია აღმოსავლეთ ევროპის, კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების ადგილობრივი თვითმმართველობების დახმარება წიაღისეულ საწვავზე დამოკიდებულების შემცირებასა და ენერგომომარაგების უსაფრთხოების ამაღლების საკითხებში და შედეგად, მათთვის საშუალების მიცემა, უფრო აქტიური წილი შეიტანონ კლიმატის ცვლილების პროცესის შეწყობაში.
კონკრეტული მიზნები:	პროექტის ამოცანაა, მოუწოდოს ადგილობრივ ხელისუფლებას, ხელი მოაწერონ მერების შეთანხმებას და მხარი დაუჭიროს მათ მდგრადი ენერგეტიკული სამოქმედო გეგმის მომზადებასა და განხორციელებაში. ძირითადი ამოცანები ემსახურება მუნიციპალიტეტების მიერ განახლებადი ენერგორესურსების გამოყენების ზრდისა და ენერგოეფექტურობის ღონისძიებებით CO ₂ -ის ემისიის საგრძნობი შემცირების შედეგად ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას.
ბენეფიციარი ქვეყნები:	სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელორუსი, საქართველო, ყაზახეთი, ყირგიზეთი, მოლდოვა, ტაჯიკეთი, თურქმენეთი, უკრაინა და უზბეკეთი.
ძირითადი მიზნობრივი ჯგუფები:	<ul style="list-style-type: none"> • ადგილობრივი თვითმმართველობები (შეთანხმების არსებული და პოტენციური მონაწილეები) • ნაციონალური / რეგიონალური ხელისუფლებები (როგორც შეთანხმების პოტენციური კოორდინატორები) • ადგილობრივ თვითმმართველობათა ქსელი (როგორც მერების შეთანხმების არსებული ან პოტენციური მხარდამჭერები) • დონორები და ფინანსური ინსტიტუციები • სხვა დაინტერესებული სუბიექტები (არასამთავრობო ორგანიზაციები, ენერგეტიკის სააგენტოები, კერძო სექტორი, აკადემიური წრეები და სხვ.) • მოქალაქეები
დამკვეთი ორგანო:	ევროკომისიის განვითარებისა და თანამშრომლობის გენერალური დირექტორატი - EuropeAid

მენარდე და კონსორციუმის ხელმძღვანელი:	Energy Cities - ევროპის იმ ადგილობრივ თვითმმართველობათა ასოციაცია, რომლებიც თავიანთ ენერგეტიკულ მომავალზე ზრუნავენ www.energy-cities.eu
კონსორციუმის წევრები:	ევროპის ადგილობრივ თვითმმართველობათა ასოციაცია „Climate Alliance“ www.climatealliance.org ასოციაცია „უკრაინის ენერგოეფექტური ქალაქები“ www.enfcities.org.ua/en ცენტრალური აზიის გარემოს დაცვის რეგიონული ცენტრი (CAREC) www.carecnet.org
ხანგრძლივობა:	2011 წლის სექტემბერი – 2015 წლის ივნისი

აღმოსავლეთთან პარტნიორობის ქვეყნების ქალაქების მერების შეთანხმების აღწერა

პროექტის ღონისძიებები ოთხი ძირითადი მისიის განხორციელებას ისახავს მიზნად:

- ხელშეწყობა** - მერების შეთანხმების ინიციატივის შესახებ ბენეფიციარ ქვეყნებში ცნობადობის ამაღლება და შეთანხმების ხელმომწერებისა და მხარდამჭერების რაოდენობის გაზრდა;
- წვრთნები და პოტენციალის ამაღლება** – წვრთნებითა და შესაძლებლობების განვითარების წარმართვა, რათა ადგილობრივ თვითმმართველობებს და მმართველობებს მიეცეთ საშუალება ოფიციალური ვალდებულებების შესრულებისა, ხოლო შეთანხმების მხარდამჭერებმა თავიანთი მიზნობრივი ჯგუფებისთვის მაღალხარისხიანი მომსახურების გაწევა შეძლონ;
- დახმარების სამსახური** - აწვდის ინფორმაციას შეთანხმებაში მონაწილეობით ან მისი მხარდამჭერით დაინტერესებულ მხარეებს (ქალაქები, რეგიონული მთავრობები, ასოციაციები და სხვ.), ყოველდღიურ დახმარებას უწევს შეთანხმების მონაწილეებს მდგრადი ენერგეტიკული სამოქმედო გეგმის მომზადებასა და განხორციელებაში და ხელს უწყობს ტერიტორიულ კოორდინატორებთან თანამშრომლობის ეფექტური გეგმების შემუშავებას;
- დონორებთან ურთიერთობა** - სექტორალური კოალიციის შექმნა ხელმომწერი მხარეების მიერ ვალდებულებების შესრულების მხარდასაჭერად, კერძოდ, მდგრადი ენერგეტიკული სამოქმედო გეგმებში ინვესტირებისათვის. ბენეფიციარების, ადგილობრივი და რეგიონული ორგანიზაციების, დონორების წარმომადგენლებისა და ევროკავშირის შესაბამისი დელეგაციების, ასევე სხვა დაინტერესებული მხარეების ურთიერთდაკავშირება. საბანკო პროექტების ცნობარის მომზადება.

მერების შეთანხმების აღმოსავლეთ ოფისისა და თბილისა, კიევში, ერევანსა და ალამატაში მომქმედი ოთხი მთავარი ექსპერტი, ევროკომისიის განვითარებისა და თანამშრომლობის გენერალური დირექტორატის მეთვალყურეობის ქვეშ მჭიდროდ თანამშრომლობს ბრიუსელის ოფისთან და ერთობლივ კვლევით ცენტრთან.

მოსალოდნელი შედეგები

ხელშეკრულების ბოლოსთვის მოველით, რომ:

- მერების შეთანხმება პოპულარული და სოლიდური ინიციატივა იქნება მთელი რეგიონის მასშტაბით, ეყოლება დიდი რაოდენობით ხელმომწერი, საზოგადოებაში კლიმატურ ცვლილებასთან დაკავშირებულ საკითხებზე და ენერჯის მდგრადი წყაროების შესახებ ცნობიერება ამაღლდება.
- ხელმომწერები გააცნობიერებენ და შეძლებენ თავიანთი ვალდებულებების შესრულებას, ამისათვის საჭირო პოტენციალის შექმნასა და მდგრადი ენერგეტიკის ხელშეწყობი სტრატეგიების განხორციელებას თავიანთი მდგრადი ენერგეტიკის ხელშეწყობი გეგმებისა და ემისიის საბაზისო კადასტრის მიხედვით.

- მუნიციპალიტეტების გაძლიერებული შესაძლებლობები და მდგრადი ენერგეტიკული სამოქმედო გეგმები უფრო ხელმისაწვდომს გახდის დაფინანსების ისეთ წყაროებს, როგორებიცაა: ადგილობრივი ფინანსური ინსტრუმენტები, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუციები და სხვა საერთაშორისო ინსტრუმენტები, მაგალითად, ევროკავშირის სამეზობლო საინვესტიციო ინსტრუმენტი და ცენტრალური აზიის საინვესტიციო ინსტრუმენტი.
- დონორების მობილიზაციითა და ინვესტიციების წახალისებით მათი მდგრადი ენერგეტიკული განვითარების გეგმებით გათვალისწინებული ღონისძიებები აფინანსდება.
- მერების შეთანხმების ხელმომწერთა და განხორციელებულ ქმედებათა შესახებ შეგროვდება და გამოქვეყნდება სტატისტიკური ინფორმაცია (ხელმომწერი ქალაქების ღონისძიებებში მონაწილე მოქალაქეთა რაოდენობა, CO₂-ის ემისიის შემცირების ოდენობა, ენერჯის მოხმარება/წარმოება, მდგრადი ენერგეტიკის ხელშემწყობი გეგმების ძირითადი მონაცემები და სხვ.).
- მერების შეთანხმების მხარდამჭერები ღონისძიებების განხორციელებაში მნიშვნელოვან პარტნიორებად ჩამოყალიბდებიან.
- მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობა ამაღლება (სამუშაო ადგილების გამოცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების, ბიზნესგანვითარებისა და ინოვაციის, საზოგადოებრივი სამსახურებისა და ინფრასტრუქტურების გაუმჯობესების, უფრო ჯანსაღი გარემოს, საბინაო-კომუნალური მეურნეობის, სუფთა ენერჯის წყაროებზე წვდომისა და სხვ. გამო).
- ენერგომომსახურება უფრო ხელმისაწვდომი გახდება და მათი მიღება გაუმჯობესდება (შემცირდება ენერგეტიკული სიღარიბე).